№ 41 6 აპრილი, კვირა 1866–1875 6 აპრილი, კვირა № 41

**რედაქცია**

მოლნინის (აბას-აბატის) მოედანზე, ყორღანოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., მოკლე-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

## ა რ ა - ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ნ ო მ ე რ ი

# ბაგრატ-დიდი

### აკაკი წერეთლის

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ ო ე მ ა

### კარი პირველი

—

მზე ჩაესვენა ბრწყინვალე ქართლის
და მან დაჩრდილა მით არე-მარე;
დაბნელდა... მაგრამ მაინც მის ბედზედ
ბოლოს გამოსჩნდა შუქმფენი მთვარე,

—

ლაჟვარდ ცაზედა წყნარად მცურავე,
პირ-ბადრი, ნაზი, პირ-მომცინარე
და მას თან ახლდა მისი თან-მსრბოლი
ერთი ვარსკვლავი, მოსხივ-ცისკარე.

—

მაგრამ ამ დროსაც მოულოდნელად
აღმოტყდა სუსხით რისხვის გრიგალი
და აღმოსავლით გადმოიტანა
შავი ღრუბელი დიდი, დიდ-ძალი.

—

ცა მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი,
დაიფარა და დაბნელდა არე!—
ვით გველეშაპმა მზეთუნახავი,
ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე.

—

აი, სურათი ქართლის ბედისა,
როდესაც განქრა მისი თამარი,
სანამ ბაგრატი მის ძით გიორგით
არ გაუბრწყინდა შეუპოვარი!

—

მაგრამ სრულიად განკურნება წყლულის
ქართლისა, ბედმა აღარ აცალა,
როცა მოჰფინა, ვითა კალია,
მძვინვარე, მხეც—ქმნილ მონგოლთა ძალა!

—

ლენგ-თემურს თვისის კოჭლობისათვის
ჰსურს მთელის ქვეყნის შურის-ძიება,
რომ დააკოჭლოს ყოველი ტომი,
რომელზედაც კი ჰსმენია ქება.

—

და რადგანც მაშინ ქართველთა ტომი
განთქმულობითა იხსენებოდა,
კოჭლ-თემურსაცა მისის შურითა
სიამით აღარ ეძინებოდა!

—

იმას ეგონა, თუ ქართველ ხალხსაც
დაიმონებდა როგორც სხვა ტომებს
და რომ ნახავდენ მის ურიცხვს ძალას,
ვერ გაბედავდენ ძლიერთან ომებს!

—

მაგრამ მოსტყუვდა!.. საქმე უჩვენა,
რომ ქართველთ გულში არ ედოთ შიში!.
ბევრჯერ გაბალთეს მონგოლთა რაზმი,
ჭენესით აძახეს: „ვაი“ და „ვიში!“

—

უფრო და უფრო განძვინებულსა,
გული უძგერდა თემურსა რისხვით
და რომ სიმხნითა ვერა გააწყო,
მან მოინდომა, რომ სძლიოს რიცხვით.

—

„ას-ასს მონგოლს ვსცვლი თვითო ქართველში,
ოღონდ კი ვსძლიო!“ დაიღრიალა.
და ბოლოს მართლაც, როდესაც მოსწყდა
მეომართ მხედართ საქები ძალა,

—

გულადი ბაგრატ მცირიოდა რაზმით
ღონე მიხდილი ტყვედ წაიყვანა;
მაგრამ დაპყრობა სრულად ქართლისა
გიორგიმ მაინც დაუგვიანა.

—

მამისა კვალზედ მხურვალედ მსვლელი
მთებში შესულ ხალხს ის აღელვებდა
და ხან იქ, ხან აქ მოულოდნელად,
მონგოლთა რაზმში გაიელვებდა.

—

მოსწყდა თან და თან ქრისტიანობა,
აოხრდა სრულად ნუხის მაზრები,
მაგრამ ჯერ მაინც კი არ დამცხრალან
მძვინვარე თემურ-ლენგის ჰაზრები:

—

კიდევ სხვა მხარეს დაიბანაკა;
მახვერპლად აილო რა ზაქათალა!
აქაც ჰსურს თვისი რისხვა მოჰფინოს,
გამოიჩინოს სასტიკი ძალა!..

—

გასცა ბრძანება მან მთელს ბანაკში,
რომ შეისვენონ დაღლილთა ძილით,
იმატონ ღონე და მეტ-მკაცრობით,
ხალხი მოსრისონ, რა ადგენ დილით!

—

ვინ გაბედავდა იმის ურჩობას,
ბრძანება უჩნდათ როგორც ღვთის ნება!
დასწვნენ მონგოლნი. მაგრამ ქართველებს
არ აძინებდა გულისა ვნება.

### კარი მეორე

—

შუა ღამეა, ბნელი-უკუნი
ზე დასწოლია ქართლისა არეს,
რომ ძილში მაინც მან შეუყენოს
ოხვრა და კვნესა წყლულს და მწუხარეს.

—

ცა მშობლიური, ლაჟვარდოვანი
ვარსკვლავებით და მთვარით შემკული
ვით მგლოვიარე ძაძით მოსილი,
ნისლში იმარხვის ჩაშავებული.

—

უპავილთა, თვითქოს, ნიშნად გლოვისა.
შეჰყვნებიათ სუნნელთა ფშვენა
და ბულბულნიცა ჩვეულებრივად
აღარა სტვენენ... დაბმიათ ენა!!..

—

მათ ნაცვლად მხოლოდ ამ ბნელს წყვდიადში
გამდგარა ლეშის სუნი საზარი
და მასთანც ისმის მგლისა ზუილი:
ქართველის მძორს ეძებს გაუმაძღარი.

—

ამ დროს მოისმა იქ ორის კაცის
აჩქარებული რამ საუბარი:
ერთი ჰყვედრიდა მეორეს, მაგრამ
გულ-მტკივნეულათ ვით მეგობარი.

—

და მეორე კი შეუპოვრობით
პასუხს აძლევდა ხმის კანკალითა
და მის პირისგან ყოველი სიტყვა
გამოდიოდა რაღაც ძალითა.

—

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

— აოხრდა ქართლი. ქრისტიანობა
ჩვენის მოწმობით, თანდათან სწყდება,
მაგრამ გმირული მისი სახელი
უკუნისამდე არ დაივიწყდება!

—

ცოცხალ-მოწმეზედ უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!
იმისი საქმე შთამომავლობას
ბნელს გაუნათლებს, როგორც ლამპარი!

—

დღემდის ყოველი მეფე ქართლისა
ამ ჰაზრით იყო ხომ შემსჭვალული?
და შენ კი, გმირო, რათ გვიღალატე?
რამ შეგიცვალა ფოლადის გული?

—

გვითხარ, რათ დაჰგმე შენ ქრისტეს რჯული?
რათ შეარცხვინე მით საქართველო?
სკიპტრა, გვირგვინი და შენი ქება
შენვე დააჭკვნე ვით მწვანე მდელო!..

—

ქართველთა მეფე დიდი ბაგრატი
სახელ განთქმული დღემდი სვიანი,
ისე დაეცა, განა, დღეს სულით,
რომ უნდა გახდეს მაჰმადიანი?

—

ოჰ, რა მაგალითს აძლევს ქართველებს
განთქმულთ-წინაპართ საკვირველ შვილებს
განთქმული მეფე! მისის მიბაძვით
სულით დაცემას მათ უადვილებს!..

—

თვითქოს, გიყვარდა შენი სამშობლო?!
მაგრამ, არა, სჩანს, ჩვენ ვსტყუვდებოდით:
შენ ის გიყვარდა შენ სადიდებლად,
შენ საპირადოდ!.. რას მივხვდებოდით?!

—

დღეს კი შემთხვევამ ცხადათ გვიჩვენა,
რაც გულში გქონდა შენ დაფარული
შექმნილო კერძო ცხოვრებისათვის,
იყავ ამიერ შერცხვენებული!.

—

მ ე ო რ ე ხ მ ა

ხა! ხა! ხა! ხა! ხა! გზედავ მოხუცო
სიბერისაგან გამოყრუებულს!...
აზრს ვეღარ იკრებ სასწორმხედველოდ
და ვერ იმაგრებ აღელვებულ-გულს.

—

ნუ თუ გგონია მაგ შერცხვენებით
ის შეაშფოთო და შეაშინო,
და მაგ მწარისა საყვედურებით
სინანულისა ცრემლი აღინო.

—

იმას, ვინც თვისი სამოთხე ტკბილი
მწარ-ჯოჯოხეთზედ მტკიცედ გასცვალა
და ამ ქვეყნადაც გულით ატარებს
იმავ ჯოჯოხეთს!.. სწვავს მისი ძალა?

—

მაგრამ გაბოდებს გულის ტკივილი,
ტყვე ტყვეს მამხილებ საყვედურითა
და გსურს ნოალბო ეს ჩემი გული,
ვითა ყმაწვილის, ცრემლების ღვრითა.

—

რაც უნდა მითხრა, არ გაქცევ პასუხს,
რაც რომ ცხადია, რაღათ დავფიცო?
მაგრამ ბაგრატის პირადობა კი
არ შევიძლია, რომ დავამტკიცო.

—

ორ გვარი არის ჭეშმარიტება:
ნამდვილი და თანც მოჩვენებული!
მათი გარჩევა მეტად ძნელია,
ხშირად სტყუვდება საბრალო გული!

—

და რა იცი, რომ ჭეშმარიტია,
რომელიც შენ გაქვს, ის საფუძველი
და ვით აქამდე შენს თვალში, აწცა,
ისევ დარჩება დაურღვეველი?
შენ სცდები...

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

ვინა? განა მე ვსცდები?
შენ გინდა ნათლად მიჩვენო ბნელი?.
ნეტავი მართლა!.. ოხ რომ შეგეძლოს
და გამიქარვო ეს ცეცხლი მწველი!..

—

მაგრამ, ამაოდ!.. ვერ მოვსტყუვდები,
ცხადად ვუყურებ შენს მოქმედებას;
თუ ვითა ჰსწირავ შენს პირადობას
ჩვენის სამშობლოს მაღალ-დიდებას.

—

სანამ გვირგვინი თავს გედგა ქართლის,
მისთვის იყავი თავ განწირული
და დღეს როდესაც ყველა დაჰკარგე,
ტყვემან იცვალე დროს შეცვლით გული.

—

მხოლოდ პირადის სარგებლობისთვის,
რომ დაიმოყვრო ლენგ-თემურ მხეცი,
მის წინ მლიქვნელობ და მაჰმადის რჯულს
მოწიწებითა თაყვანი ეცი!.

მ ე ო რ ე ხ მ ა

მისთვის რომ მიყვარს მე საქართველო!

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

არა, ეგ რა სთქვი? ვინ იტყვის უარს
თვის საყვარელზედ და აიღებს ხელს?
სჩანს, ადრეც გძულდა და არც აწ გიყვარს.

მ ე ო რ ე ხ მ ა

ეგ იმან მითხრას, ვინც სამშობლოსი
ჩემზედ უმეტეს ნამსახურია
და ჩემზედ მეტი მისი გულისთვის
ოფლი და სისხლი ერთად უღვრია!!

—

ჯერ დამიმტკიცე, აბა მიჩვენე!.,
ბრწყინვალე ღვაწლი შენი წარსრული
მამულისადმი, და ჩემს ღვაწლს
შენ შეუწონე ის დაფარული,

—

რომ მით დამტკიცდეს, თუ ამ ჩვენ ორში
ვის უფრო უყვარს თვისი მამული
და საპირადოდ, კერძოობითა
ვის უფრო უცემს ამაყი გული?
აბა მოჰყევი!..

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

შენც კარგათ იცი,
ვის არ ჰსმენია ჩემი სახელი?!
სადაც იოსებ კი შევარდნილა,
გამაგრებულა იქ ბრძოლის ველი.

—

სანამ სიბერემ არ დამასუსტა,
მტერზედ მახვილი არ გამცდენია!.
და თავ-განწირულს შეუპოვარსა
სისხლზედა სისხლი დამიდენია!.

—

თეთრი აღარ მაქვს თავზედ იმდენი,
რამდენიც ტანზედ მტრისგან ჭრილობა!
არ შემდრეკია აროდის გული,
მით დავიმტკიცე ქართვლის შვილობა.

—

ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლ-კარი,
ამ ქვეყნიური მე ნეტარება
ყველა შევსწირე ტკბილ-სამშობლოსა,
მინდოდა მისი ბედნიერება!

—

მაგრამ სიბერით რომ მოვუძლურდი
და არ შემეძლო ხმლის ხმარება,
ბერათ შევსდექი. და საქართველოს
ღმერთსა ვავედრებ! მდის დუღარება.

—

მეც შემომიჩნდა ლენგ-თემურ მხეცი,
რომ შემეცვალა ეს ჩემი რჯული,
მაგრამ შენსავით არ მოვხიბლულვარ,
არ გამყინვია მხურვალე გული!

მ ე ო რ ე ხ მ ა

კეთილი! მაგრამ ქართლისა ბედმა
რჯულის გამოცვლა რომ გთხოვოს მსხვერპლად,
ამა სოფელზედ ხელ აღებული,
დასთმობ იმ სოფელსაც შეუნანებლად?

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

სჯული ქრისტესი?!.. ხომ არა ხუმრობ?
ეგ ჩემს განძრახვებს აღემატება:
ეშმაკებისთვის სულის შეწირვის
მირონ-ცხებულსა არა აქვს ნება

მ ე ო რ ე ხ მ ა

მჯერა! ეგ არის შენი რწმუნება
შეუხებელი, შეურყეველი!
და მაშ ახლა მეც დამიგდე ყური
და რომ მომისმენ, პასუხს მოველი:

—

ჭკუით სრულსა და გრძნობით აღვსილს კაცს
ვერ შეაშინებს უბედურება!..
რამდენიც უფრო ხელი ეშლება,
ის უფრო კერპად ემსახურება

—

მისგან არჩეულ ცხოვრების მიზანს,
და სიცოცხლესთან შეკავშირებულს
მაშინ გასწყვეტს ის, როცა კუბოში
ჩასდებს ცივსა და უგრძნობელსა გულს.

—

ცოლის დამკარგვი სხვა ცოლს შეირთავს,
მკვდარ-შვილს უქარვებს მეორე შვილი,
მაგრამ მაგიერს კი ველარ ჰპოებს
კაცი, თუ არ ჰყავს მას დედა ტკბილი.

—

რა გინდ ღირსებით შემკულიც იყოს,
ვერ იქმს დედობას დედინაცვალი!
თუ შვილზედ საშო თვით არ ასწვია,
განზედ უჭირავს ყოველთვის თვალი.

—

მეფე დამთმობი ერთხელ გვირგვინის,
ზევრჯერ მეორეთ ისევ მიიღებს
და დაცემის დროს მიღებულსა წყლულს,
ახალი ბედი სრულად აეწყებს.

—

მაგრამ ვინც ერთხელ სრულად დაჰკარგავს,
გულით გასწირავს რა მის სამშობლოს,
ის სანუგეშოდ უკუნისამდე
ნულა მოელის კეთილსა ბოლოს.

—

არ ვგლოვ მე გვირგვინს და არც ჩემს სახელს,
ოდესმე განთქმულს და განბრწყინვებულს;
ვითლა მახსოვდეს ეს მცირე რამე,
როდესაც ქართლს ვსჭვრეტ მე აოხრებულს?

—

თვალ-წინ მიდგია ახლაც სურათი,
ის საზარელი დასანახავი,
როცა კალოზედ, ვით მზე, მოლეწეს
ძუძუს-მწოვრები, უჭყლიტეს თავი!...

—

მათი კვნესა და მათი ტირილი,
დედების მოთქმით შეზავებული,
დღესაც ყურებში მე მიწივიან,
ტვინი მეწვის და მეწამლის გული.

—

ხომ გახსოვს, ოდეს ქართველთ ჰკაბუკნი
ხელ-ფეხ შეკრულნი, დატიტვლებულნი
ველზედ ეყარნენ... და ზედ მონგოლნი
დაჯირითობდნენ გამძვინებულნი?...

—

და ან ის ქალებ... მაგრამ, ეჰ, კმარა..
რომელი ერთი უნდა მოვსთვალო?!.
უთვალავია დღეს ქართლის ტანჯვა!.
გადმოიხილე ზეცით, უფალო!

—

სამშობლოს ტანჯვის, უძლურ-მოწამეს
არ შემრჩებოდა აქამდე სული,
თუ რაღაც დიდსა უცნაურს ძალას
არ განემტკიცა კერპად ეს გული.

—

არც ეს ქვეყანა, არც იქ ქვეყანა
მე აღარ მინდა, არც ერთი არ მსურს..
სანამ ლენგ-თემურს სამაგიეროს
არ გადუხდი და არ მივაგებ შურს...

—

მაგრამ რა გვ:რად? ტყვე ვარ უძლური!
მოსწყდა ქართველი მისის გმირობით!
და ძლიერ ხალხთან რაღას გავაწყობთ
ჩვეულებრივის პირდაპირობით

—

თუ არ ხერხითა და ცბიერობით.
და განვიძრახე მე მოტყუება
ლენგ-თემურისა, სულის-გაწირვით
და აწ უფალო, შენია ნება!

—

ლენგ-თემურ თუ არ მაჰმადიანსა
არ მიენდობა სრულის, გულით!...
და მაშ მოხუცო, აჰა მიზეზი
თუ რათ მიყურებ შეცვლისა რჯულით

—

ჩემის სამშობლოს გამოხსნისათვის
უკანასკნელად ეს მოვიგონე
და საიქაოც რომ დავივიწყე,
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე.

—

ვიცი, ის ტანჯვა უკუნისამდე
არ მომეშლება! არ არს ადვილი,
მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
იმას არ ჰქვიან მამულის შვილი!...“

—

როცა შესწყვიტა ეს საუბარი,
მეორემ უთხრა: „მეც შენთან ვარო!“
და დაიყვირა: „უნდა უარ-ჰყო
და ნუ შემრისხავ, შენ მაცხოვარო!“

—

ამ დროს უეცრად ბნელი განათლდა,
ცა გაიხსნა რა, გაიღო კარი
და ორი კაცი გამოაჩნ:
ბაგრატ და ისაკ მისი მოძღვარი.

—

მუხლ-მოყრით მაღლა ხელაპყრობილნი
უხმო-უსიტყვოდ ცას შეჰყურებდნენ
და საქართველოს ჭირისგან დახსნას
უკანასკნელად მას ავედრებდნენ.

## კარი მესამე

ძილი გაუტყდა ერთხელ ლენგ-თემურს,
შეიხმო თვისთან ბაგრატი გმირი,
დასხდნენ კარავში მარტოკა ორნი
და მეგობრული იწყეს თათბირი:

—

ლ ე ნ გ - თ ე მ უ რ ი

სული სულს აცნობს, გული უგრძნობს გული,
გმირსა მიჰბაძავს ქცევითა გმირი
და რომ თემური ბაგრატს უყვარდეს,
ჩემთვის არ არის ეს გასაკვირი.

—

კარგათ თუ ავად, შემთხვევამ იცის,
მაგრამ მთლად შესცვლის კაცს სიყვარული,
რა ახალ აღთქმათ ის გულში სჩნდება,
მყისვე ირღვევა აქ ძველი რჯული.

—

მაშინ წარსრული თვისი ცხოვრება
კაცს მიაჩნია ბზეთა და ჩალად
და წამით გრძნობას მხოლოდ ისახავს
ნეტარებისა სრულ—იდეალად.

—

მაგრამ ამასაც როგორც ყოლიფერს
დრო შეუბრალი ბოლოს მოუღებს
და ერთხელ შჯაგსა გულის ვნებითა
სინანულითა მაშინ აწუხებს.

—

და ეგებ, ბაგრატ, შენც მეგობრობის
სიყვარულით ხარ დაბრმავებული,
და თუ ოდესმე გული შეგერყა,
რჯულზედაც დარჩე შენანებული?

ბ ა გ რ ა ტ ი

თუ არ რწმუნება შეურყეველი,
რა შეაცდუნებს, რომ გადაჰყვეს გულს,
გულსა შენახულს სოფლის ბრუნვისგან
და თავს ჭლარით დაგვირგვინებულს?

—

ვფიცავ მე ზეცით გულთა მხილავსა
და მასთან ყოველთ წმინდათა ძალებს,
რომ დრო ვერ შემცვლის და ვერ გამიქრობს
დღეს რომ გულში მწვას! მე იმა ალებს

—

რასაც დღესა ვგრძნობს, მე ის რწმუნება
კუბოს კარამდე მიმყვება რჯულად!
არა, ძლიერო, მაგ ეჭვებითა
ზეტყობა მსახავ გულში ორგულად!

თ ე მ უ რ ი

მე? არაოდეს!... მაგას ნუ ჰფიქრობ!..
განა არ ვიცი რაა ქართველი?
მის შესადარი არსად მინახავს,
თუმც აზიისა ვარ მე მომვლელი!

—

სულით მაღალი და გულით მტკიცე
მისი განძრახვა უზაკველია.
და სანამ პირში სული უდგია,
მის დამონებაც უფიქრელია.

—

რომ მითხრას, ბაგრატს ნუ ენდობიო,
თუ არ თვითონ შენ ვინ გამიბედავს?
არა, ძმობილო, შენც კარგათ იცი,
რომ თემურლენგი ძლიერ შორს ჰხედავს.

—

მაჰმადის სჯული რომ სჯობს ქრისტესას
ამას ჰკვიანი ბაგრატ თვით მიხვდა;
მაგრამ ტყვე-ქმნილსა ამდენს ქართველსა
თავისი რჯული რათ დაავიწყდა?

ბ ა გ რ ა ტ

ქართველებისაგან მაგ გვარი ქცევა
სულაც არ არის გასაკვირველი:

საითაც მათი მეფე გაიწევს,
მათაც იქეთკენ უჭირავსთ თვალი.

—

ქართველთ მეფეო, თავ-განწირულთა
მითი მიინდევს ქვეშევრდომთ გული,
რომ არაოდეს არა ჰყოფილა
ხალხი იმათგან მოტყუებული.

თემური

მაშ თუ მაგრეა, მთლათ საქართველოც
შენს მაგალითსა მალე მიჰბაძავს..?
და მაშინ სჯულის ეგშეთანხმება
ჩვენ ორ ტომს შუაც ჩამოგდებს ზავს?

ბაგრატ

ეგ არ იქნება. ამით არ მოშლის
ქართველთა ტომი ქრისტეს სამსახურს!
ის ჰბაძავს მხოლოდ ძლიერს მეფესა
და არა ტყვე-ქმნილს, უტახტოს, უძლურს.

—

ოჰ, რომ მქონოდა მაშინ ეს აზრი,
როდესაც ვიყავ მეფე ძლიერი,
დღეს მაჰმადის სჯულს აღიარებდა
ერთათ ჩემთანა ქართლისა ერი!

—

მაგრამ რაღა დროს, გვიანღა არის
ამაზედ ფიქრი, მოთქმა, გოდება,
სინანულითა თვის ნეკზედ კბენა
და უნაყოფო ცაცხლთა მოდება!“

—

ყურსა უგდებდა ამ სიტყვებს თემურ,
თითქოს ჰხვრეტავდა ბაგრატსა თვალით.
ბოლოს მოსდო მას კისერზედ ხელი
და მოჰყვა ისიც ხმისა კანკალით:

თემურ

ბაგრატ შენ გიცნობ მხოლოდ მე ქაცად,
და მისთვის მიყვარს შენთან თათბირი,
რომ შენი სიტყვა სხვისას არა ჰგავს
და არ გატყდება ეგ შენი პირი.

—

შენც კარგათ, იცი დედა-მიწაზედ
არავინა მყავს მე ჩემი ტოლი.
მაგრამ ვერავის ვერ მივენდობივარ,
გულით ურწმუნო, სულით ობოლი.

—

ვის უნდა ვენდო? განა არ ვიცი,
თუ რას ჰფიქრობენ ჩემი სარდლები?
თუ მნახეს ერთი წაფორხებული,
დამესევიან როგორც რომ მგლები.

—

თუ არ შიშითა, სხვა ვერაფრითა
მიიზიდება იმათი გული!
მათ ზნეობითი გრძნობა არა აქვთ.
ქართველს არა ჰგავს, ვხედავ, მონგოლი.

—

ამისთვის მსურს, რომ საქართველო
ხელში ჩავიგდო, ჩემსკენ მოვიმხრო
და რჯულით მათთან რაშევკავშირდე,
სხვა ხალხი მოვსრა და სისხლი ვღვარო.

—

შენ მეყოლები მარჯვენა ხელად,
ქართველთა რაზმსა ჩემთვის დააწყობ
და შენ ვით მეფეს და ერთგულ ძმასა
დაპყრობილ-ხმელეთს შუა გაგიყობ.

—

როცა ბაგრატი ზურგს გამიმაგრებს
და თან მეხლება ქართველთა ჯარი,
მაშინ ხმელედზედ ჩემს სამეფოსა
აღარ ექნება არსად საზღვარი.

—

ახლა ხომ იცი ჩემი ძრახები.
რაც ვსთქვი, შენ ლომო, ხომ გაიგონე,
მაშ წაიყვანე ჩემი ჯარები
ხვალვე და ქართლი მთლად დაიმონე.

კარი მეოთხე

შეჰკრეს ამ გვარად გმირთა პირობა.
გამოემგზავრა ქართლისკენ ბაგრატ
და არ იცოდენ რათ მოდიოდა:
ქართლის სამოყვროდ, თუ მოსისხარ მტრად.

—

კახეთში მყოფსა მეფე გიორგის
შიკრიკი აძლევს ბაგრატის წერილს!
რომელითაც მამა გამოჩენილი
ამას მიუწერს შესანიშნავ შვილს:

—

„შვილო გიორგი! ჩემი სურვილი
„ასრულდა, სცხრება გულისა ვნება:
„ღვნგთემურისა სასტიკ-ხელიდამ
„ჩემი გამოხსნა ღმერთმან ინება.

„ამხედრდა ქართლის დასაპყრობელად
„მანგოლთა ჯარი დიდი დიდ-ძალი.
„დღეს გარეგნობით მაჰმადიანი
„მევარ იმათი დიდი-სარდალი.

—

„ბერდუჯის ახლოს ერთს ხეობაში
„მე შემოვიყვან გზა-დაბნეულს ჯარს
„და მაშინ, გმირო, აბა შენ იცი
„თუ როგორ დასცემ მძვინვარეთა ზარს.“

—

ვითა მალამო წყლულს, სამკურნალო,
ისე ესწრაფათ ეს ცნობა ივერთ
და ერთხელ კიდევ თავგაწირვითა
ეკვეთნენ გმირნი მოუსვენართ მტერთ

—

არ დაუგდიათ აღარც მთხრობელი.
ხევი აავსეს მონგოლთა ლეშით.
და სხვა მტრებისა აღარ მლოდენი,
დარჩნენ ქართველნი ტკბილს ნუგეშით

—

ქვალად მოიგო რა თვის სამეფო
ბაგრატმა, ქართველთ დაუდვა გული,
და იმერ-ამერთ შეერთებითა
ქვლავ განუკურნა სამშობლოს წყლული.

—

ასე ილვწოდა მამულისათვის
თავ-განწირული ის წინა-პარი...
და რომ მის ხსოვნას თაყვანი არ სცეს,
მისთანა ჩვენში, აბა, ვინ არი!?

---

# წესდება

## თიანეთის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა

(გაგრძელება)

### ამხანაგობის სათადარიგო თავნი

65) სათადარიგო თავნი არის შესავსებლათ შემთხვევით მოსულის ამხანაგობის დანაკარგის ზიანისა, რომელსაც წლის მოგება ვერ დაჰფარავს, ეკუთვნის მთელს ამხანაგობას, ვიდრე იგი თავის მოქმედებას ას მოსპობს (მუხ. 120); თუ ამხანაგობა დაიშალა, დანიშნულ უნდა იყვეს სახალხო განათლებისათვის.

66) ამხანაგობის სათადარიგო თავნი შედგების:

ა) ათის თავიდამ, რომელიც უნდა გამოირიცხოს წმინდა მოგებიდამ (მუხ. 70) და.

ბ) კაპეიკების ნაწილებიდამ' რომელიც მოექრება—ამხანაგებში წილის მოგების გაყოფის დროს.

67) ნაწილი სათადარიგო თავნისა, რომელიც არ აღემატება შემოტანილის წილად ფულების ერთს მესამედს, უნდა შენახულ იყოს უშიშარს ადგილას სახემწიფო ხაზინის ბილეთებით (სერიებით) ანუ სახემწიფო სარგებლიანის ქაღალდებით.

68) სათადარიგო თავნის ფული, თუ მომატებულია იმ ზომაზე, რომელიც მოხსენებულია 67 მუხლში: მოიხმარება ამხანაგობის აღებ-მიცემობაში (მუხ. 24)

### განაწილება ამხანაგობის მოგებისა და ზიანისა.

69) ამხანაგობის წმინდა მოგება მიიღება ის ჯამი ფულისა, რომელიც რჩება ძირს,—მთელის შემოსავლიდამ, როდესაც გამოირიცხება:

ა) სარგებლები სასარგებლოდ შემოტანილის და ვალათ აღებულის ფულებისა.

ბ) გამგებლობაზედ დანახარჯი, და

გ) ზიანი.

70) სათადარიგო თავნის შესადგენად როდესაც გამოირიცხება წმინდა მოგებიდამ ის ზომა სარგებლისა, რომელიც მოხსენებულია 66 მუხლში პ. ა., დანაშთენი ფული განიყოფება ამხანაგობის წევრებში საანგარიშო წლის დაწყობაში. განაწილება მოხდება წილადის ფულის ანუ ამის ნაწილის ფულის მიხედვით და, რომელსაც მთელი წილადი ფული შემოტანილი აქვს, იმას მიეცემა არა უგვიანეს სამის თვისა, ანგარიშის დამტკიცებიდამ დაწყობილი, და დანაშთენ წევრებს იმათს შემოსატან წილად ფულში ჩაითვლება, ვიდრე წილადი ფული სრულიად შემთავრდებოდეს.

71) თუ ამხანაგობის აღებ-მიცემობაში წმინდა მოგების მაგიერ—ზიანი აღმოჩნდა, უნდა შეივსოს იმ წესით, როგორც ნაჩვენებია 28 მუხლში.

### მმართველობა საქმეებისა და ანგარიში ამხანაგობისა.

72) ამხანაგობის საქმეების მმართველობა მიენდობა:

ა) გამგებლობას,

ბ) რჩევას, და

გ) საზოგადო კრებას.

73) ამხანაგობას აქვს საკუთარი თავისი სახელობრივი ბეჭედი.

### გამგებლობა.

74) გამგებლობა არის წარმომადგენელი ამხანაგობისა ყოველს მის საქმეებში გარეშე ადგილებთან და კერძო პირებთან განსაკუთრებული რწმუნების წერილის უქონლათ.

75) გამგებლობა თავის წევრების მთელის ქონებით პასუხის მგებელია იმ ზიანში, რომელიც მიეცა ამხანაგობას იმის მოქმედებით წინააღმდეგ ამ წესდებისა, ანუ საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა.

76) გამგებლობას შეადგენს სამი წევრი, რომელსაც ამხაგაგობის წევრთაგან ამოირჩევს საზოგადო კრება (მუხ. 107 პ. ზ.) სამსამი წლობით.

77) თუ გამგებლობის წევრი ავათ არის ანუ არ იმყოფება თავის ადგილს, მის მაგიერ ინიშნება ერთ-ერთი წევრი რჩევისა, მისისავე დანიშენით.

78) ყოველს წელს ერთ-ერთი გამგებლობის წევრი გამოირიცხება: პირველში წილის-ყრით და შემდეგ, რომელიც წინად არჩეულია.

79) გამოსული გამგებლობის წევრი შეიძლება ხელ-მეორედ ამორჩეულ იქმნას.

80) რჩევის მოთხოვნილებით ანუ ამხანაგობის წევრების მეხუთედი ნაწილის მოთხოვნილებით, საზოგადო კრებას (მუხ. 107 პ. ღ) შეუძლიან დაითხოვოს, როგორც თვითოეული, აგრეთვე ყველა წევრები გამგებლობისა და შეუდგეს მათ მაგიერ ახლების ამორჩევასა.

81) გამგებლობის წევრებს ჯამაგირის ზომა და დანიშნავს მათის შრომისათვის, — დაიდება საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პ. ზ.).

82) გამგებლობას მიენდობა:

ა) საქმეების და დავთრების წარმოება და ანგარიშების შერდგენა;

ბ) შენახვა ფულებისა და სარგებლიანი ქაღალდებისა;

გ) მიღება და მიცემა წილადის ფულისა;

დ) მიღება სასარგებლოდ შემოტანილის ფულებისა;

ე) გაცემა სესხათ ფულისა;

ვ) მიცემა ახალის ვადებისა—ნასესხი ფულის შემოსატანათ, თუ ამაზე ნება არის დაწესებული საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პ. დ.).

ზ) აღება ვალისა ამხანაგობის სახელობაზედ იმ პირობაებით და ზომით, როგორც დადგინებულია საზოგადო კრებისაგან (მუხ. 107 პ. თ.).

ღ) ღონის-ძიების მიღება ნასესხის ფულის გადახდევინებისათვის მოვალისაგან და რაც ამხანაგობას ზიანი მოსვლია (მუხ. 60, 61, 62, 63 და 64).

თ) მოწვევა ჩვეულებრივის საზოგადო კრებისა (მუხ. 99 პ. ა.).

ი) გარდაცემა წევრებისადმი მათთვის საჭირო ცნობებისა; და

კ) საზოგადო კრების ნება დართვით დაქირავება საჭირო პირებისა ამხანაგობის საქმეების სამუშაოთ (მუხ. 107 პ. ვ.) საზოგადო კრების დანიშნულის ჯამაგირით.

83) მუშაობა გამგებლობის წევრებისა განიყოფება მათ შორის, მათივე დახედვით, მხოლოდ რჩევის დამტკიცებით (მუხ. 91 პ. ბ).

84) გამგებლობა იკრიბება კვირა-ში ერთხელ მაინც უთუოთ. შეკრებილების დღეები ყოველ ოთხის თვის წინად უნდა იყოს დანიშნული, და ამაზე განცხადება გამგებლობაში უნდა იყოს დანიშნული, და ამაზე განცხადება გამგებლობაზე უნდა იყოს ჩამოკიდებული.

85) ნაღდი ფული, სარგებლიანი ქაღალდები და სხვა დოკუმენტები შენახული უნდა იყოს უშიშარს ადგილას, ცალკე სკივრში, ორის სხვა და სხვა კლიტეებით დაკეტილში და მისი გასაღებები ორს გამგებლობის წევრს უნდა ებაროს.

87) გამგებლობაზედ საჩივარი შეიტანება რჩევაში (მუხ. 91 პუნქ. დ.).

# ქრონიკა

სტატია XI

## იმერეთის მდგომარეობა და მოქმედება 1259 წლიდგან ვიდრე 1414 წლამდე

—

ძველის ძველადგანვე საქართველოში იყო შემდგარი ანდაზა იმერლებისა, ქართველებისა, მესხებისა და კახელების ნიჭზე—თუ ამათში ვის რა შეუძლიან გააკეთოს და იმოქმედოს. ეს ანდაზა ღეოღრაფს ვახუშტის თავის ღეოღრაფიაში, 48 გვერდზე, მოჰყავს და გამოჰხატავს ამ სიტყვებით: „დ ა რ ბ ა ი ს ლ ა დ მ ე ს ხ ნ ი, თ ა ვ ა დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა, ა ზ ნ ა უ რ ი ი მ ე რ ე თ ი ს ა დ ა ვ ა ჭ ა რ ი კ ა ხ ე თ ი ს ა“. სხვა სიტყვებით რომ გადავთარგმნოთ ეს ანდაზა, მაშინ ამ გვარი ჰაზრი ექნება: პოლიტიკური ტაქტი მესხებისა, მოხელეობა (ნაჩალნიკობა) ქართლელებისა, თავისუფლება იმერეთისა და ვაჭრობა კახელების ხელობაა.

ეს ისტორიული ანდაზა ყველა ახლანდელ ჩვენს ლიტერატურაში გამოთქმულ მსჯელობაზე, ქართველ ხალხის თემების ხასიათებისა და ნიჭის შესახებ, უფრო მკაფიოდ და კარგად გამოარკვევს ცალკ-ცალკე იმათ ნიჭს და გაარჩევს ერთმანერთისაგან; ეს ანდაზა მეტის მეტად კარგად ეთანხმება ისტორიულს ფაქტებსაცა.

რომ იმერეთის ხალხს ჰყვარებია თავისუფლება, ამას ძალიან ცხადად ამტკიცებს „ქართლის ცხოვრება. მაგრამ რადგან მე მსურს ვილაპარაკო იმერეთის მდგომარეობაზე, დავით ნარინიდგან დაწყებული ვიდრე 1414 წლამდე, ამისათვის იმას აღარ ვიტყვი, რომ ბაგრატიონების დინასტია საქართველოს ტახტზე იმერეთმა დასვა და მერმე გაავრცელა პოლიტიკური თავისუფლება აღმოსავლეთის საქართველოს ხალხზედაც, აღარ ვიტყვი იმას, რომ ბაგრატი მე-III, ბაგრატი მე-IV, დავით აღმაშენებელი და სხვანი ჯერ იმერეთში გაძლიერდნენ, ჩააგდეს ხალხში თესლი პოლიტიკური თავისუფლებისა, აალივეს, ააყვავეს და მერმე შეუდგნენ საქართველოს ფეხზე აყენებასაც.

მაგრამ იმერეთში გაძლიერებულნი მეფეები, როგორც კი შეაერთებდნენ თუ არა მთელს საქართველოს, მაშინვე თავის სატახტო ქალაქად თბილისს ირჩევდნენ და სამუდამოდ იქ სახლდებოდნენ. იმერეთის ხალხს ეს ძლიერ სწყინდა და იწყებდა ჯავრობას და მეცადინეობას, რომ საქართველოს ბედის მმართველი როგორმე იმერეთში მჯდარიყო; იმერეთს ძალიან სწყინდა, რომ ხალხის განთავისუფლების ინიციატივა იმან წარმოსთქვა და დაიწყო ქართველთა ერის განთავისუფლება, მაგრამ მის ნაყოფით უფრო აღმოსავლეთის საქართველო სარგებლობდა, ვიდრე ის, ამისათვის რომ მეფეები თავის საცხოვრებლად თბილისის ქალაქს ირჩევდნენ. შესანიშნავია, რომ პოლიტიკური სასწორის სიმძიმე ყოველთვის ქართლ-კახეთისკენ იწევდა. რა იყო ამის მიზეზი? ზემოთ თქმული ანდაზა ამის მიზეზად იმას ამბობს, რომ ქართლის თავადობამ კარგად იცოდა დიანბეგობის ხელობაო, ესე იგი იცოდა მართველობა, ხალხზე მეურნეობა, ცხოვრებაში კარგი სამოქალაქო წესის შემოღება, მედიდურება და ერთგულება.

მაგრამ იმერეთის ხალხს ეს თვისებები აკლდა და ამათ ნაცვლად ჰქონდა ერთად ერთი ღირსი პატივის-ცემისა ლტოლვილება თავისუფლებისადმი. იმერეთს უფრო მფლობელობა და ბატონობა უყვარდა, ვიდრე მორჩილება. ამისათვის როგორც ის მეფე, რომელიც იმათ წამოაყენეს და გაამეფეს, იმერეთიდგან გავიდოდა და დასადგურებდა თბილისის ქალაქში, იმერლები ამ გვარს მეფის ხელში თავის თავს თითქო სხვათა უღელს ქვეშ ხედავდნენ და სცდილობდნენ განთავისუფლებას. აი ამ გვარის ჰაზრებისა და მსჯელობისა გამო, როგორც კი იშოვიდა მარჯვე დროს, იმერეთი მაშინვე ცალკე მეფეს ირჩევდა იმ განზრახვით, რომ იმას თავის მეტი მბძანებელი არავინა ჰყვანდეს. ამ განზრახვით დასვეს 1259 წელს იმერეთში რუსუდანის შვილი დავით ნარინი, და ამიდგან გაიყო საქართველო ორ სამეფოდ და დაიწყო მათ შორის ქიშპობა და ხდომა.

სამწუხაროა იმერეთის ცხოვრება ამ დროიდგან. იმას გარეშე მტერი ისრე არ აწუხებდა, როგორც აღმოსავლეთს საქართველოს; მაგრამ შინაური ამბოხი უფრო დიდს ვნებას აძლევდა ხალხს. ამის შემდეგ არც იმერეთმა და ამერმა ერთმანერთს აღარ მოუსვენეს.

1259 წლიდგან, დავით ნარინი რომ გამეფდა იმერეთში, რაჭის ერისთავმა კახაბერმა ის არ მოასვენა და მუდამ შუღლობდა და ქიშპობდა: ხან მონგოლებს მიემხრობოდა და დავითის დაღუპვას მეცადინეობდა, ხან თვითონ იმერეთსა და რაჭის შუა სტეხდა ძმა-ძმის მკვლელობის ომს, ვიდრე ორჯელ შენდობის შემდეგ, დავითმა ის არ დაიჭირა და არ მოჰკლა. მაგრამ იმერეთი ამის შემდეგაც არ დამშვიდდა. 1293 წელს მეფე ნარინი მოკვდა და მის მაგიერ გამეფდა მისი შვილი კონსტანტინე.

„ქართლის ცხოვრება“ არ გვაჩვენებს კონსტანტინეს არც კაი კაცობას, არც ცუდ კაცობას; მაგრამ მისი ძმა მიქელი გაუხდა ამას წინააღმდეგი, დაიჭირა რაჭა, ლეჩხუმი და არგვეთი. ამ ორ ძმას ჰქონდათ ერთმანერთში მარადის შლილობა, შფოთი, შუღლი, ბრძოლა და ხდომა და შეუბრალებლად [illegible] ქვეყანას. იმერეთის ხალხს და [illegible]ბას ეს ძლიერ სწყინდა, მაგრამ იმათმა გულითადმა მეცადინეობამ მაინც და მაინც ვერ მოახდინა ამ ორ ძმის შორის მშვიდობიანობა. ეს გაუგონებლობა გიორგი დადიანს ეწყინა და უთხრა, რომ რადგან თქვენ ერთმანერთში მშვიდობიანობის მოხდენა არა გსურთო და მუდამ ერთმანერთში ჩხუბი გაქვთ, მეც აღარა მსურს თქვენი მორჩილებაო. გადგა განზე, დაიპყრო მთელი სამეგრელო და გახდა მთავრად. ამის მაგალითს მიჰყვნენ გურიელი, შარვაშიძე და სვანეთის ერისთავი გელოვანი. ამით დაირღვა იმერეთის ხალხის ერთობა და სიყვარული და დაიწყო ერთმანერთში ხდომა და მუდმივი ბრძოლა.

1327 წელს კონსტანტინე მოკვდა და მის ნაცვლად მეფედ დაჯდა იმისი ძმა მიქელი, კაცი მოუსვენარი. ამან თავი გამოიდვა კვლავ იმერეთის შეერთებისათვის; მაგრამ უთანხმოების და ერთმანერთის მტრობის თესლს ისრეთი ფესვი გაება იმერეთის მეფისა და მთავრებს შორის, რომ ამ ჰაზრის აღსრულება შეუძლებელიღა გახდა. მთავრებმა პირობა მისცეს მეფეს, რომ ლაშქრით, როცა საჭირო იქნება, გიშველითო; მაგრამ დამორჩილებით კი არ დაგემორჩილებითო: ჩვენ ჩვენს სამფლობელოში ისრე ვიმოქმედებთ, როგორც ჩვენი კეთილ-გონიერება გასჭრისო.

ინგილო ჯანაშვილი

# განცხადებანი

ქუქიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ისყიდება 236 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, რომელიც ჩინოვნიკის ცოლს ეკატერინა მეოვსკაიას ეკუთვნის.

მ ს უ რ ვ ე ლ თ შეუძლიანთ მიმართონ უფროს პოლიციმეისტრის კანცელარიის ქვეშ, ნოტარიუსის რჩეულოვის გვერდით, მ ი ხ ა ი ლ მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| ცხეთა | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — სამშაბათს, ღამით.
ოდესას — კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 აპრილს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 33 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 349 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 98 | 75 |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 197 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 192 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის (5½) | 87 | 15 |
| მოსკოვის (5%) | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 229 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 6 აპრილს. | | |
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 4 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი. | 6 | 65 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 6 | — |
| — თარაქამისა ფთ. | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 80 |
| — ცხვრისა, ლიტრა. | — | 90 |
| სპირტი, ვედრო. | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი | 8 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 49 |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 5 | 91 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Апрѣля 1875 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.